სახალხო გაზეთი

№ 219 შაბათი, 29 იანვარი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 219

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე მეტიოთ ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი მეტიოთ ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარე განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხაღამდე 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით ხტამბა „ხორაბან“ ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტლ და აშხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ხ. სიტოვიხა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ბელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. ხაღამოთი 5-დან 7-მდე.

ბელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ხაშუადღეამდე 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящ. N 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

სახალხო გაზეთი

(კვირეულ სურათებიანი დამატებით).

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. 8.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

კვირას, 30 იანვარს, გარდახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი დაბა ყვირილეს დავით და კონსტანტინეს ეკკლესიაში

დეკანოზ დავით ღამგაშიძის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, რასაც აუწყებენ ნათესავთ, პატიცისმცემელთ და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი, შვილები, ძმები და რძლები.

გარდახდილ იქნება აგრეთვე წირვა და პანაშვიდი
კვირას, 30 იანვარს,

ქ. ტფილისს,

ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში. წირვის დასაწყისი 10 საათზე, პანაშვიდი 11 ს 30 წ.

გარდახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი
კვირას, 30 იანვარს,

ქ. ქუთაისს,

სობოროში. დასაწყისი წირვისა 10 საათზე. (2—1)

ხტეფანე თევდორეს ძე ჭრელაშვილი, ეკატერინე თევდორეს ასული ასათიანისა, ელენე თევდორეს ასული ნახიძისა, ალექსანდრე სტეფანეს ძე ჭრელაშვილი და მიხეილ მიხეილის ძე ასათიანი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვლილის, პირველნი სამნი—საყვარელ დედისას, ხოლო უკანასკნელნი—დაუვიწყარ ბებიისას

თებრონია ლაზარეს ასულის ჭრელაშვილისას.

პანაშვიდი გარდახდილ იქნება შაბათს, 29 ამა იანვარს, საღამოს 7 საათზე, წირვა და დაკრძალვა კვირას, 30 იანვარს, წმ. ნინოს სასაფლაოზე. ცხედარს გამოასვენებენ დილის 10 საათზე. გოგოლის ქუჩა სახლი № 45. (1—428—1)

ნინო ნიკოლოზის ასული და ლავრენტი ივანეს ძე შაგბერიშვილნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 30 იანვარს, წმ. ნინოს სასაფლაოზე გარდახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი

ნატალია ნიკოლოზის ასულის წერეთლის

სულის მოსახსენებლად. (1—1)

ულრმეს მწუხარებაში მყოფი ფეფო, გოლა და ვახტანგ ახრახაძენი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 26 იანვარს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქმარი—პირველის და მამა—უკანასკნელთ

გრიგოლ იესეს ძე ახრახაძე.

დაკრძალვა დ. ყვირილაში, 30 იანვარს, წმ. ნინოს სასაფლოზე. (2—1028—1)

ტელეფონი № 882. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 51 (9)

კვირას, 30 იანვარს, 1911 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ გ. ხ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

და-ძმა

ისტორ. დრ. 5 მოქ. გ. გუნიასი.

მოთამაშეობენ: ქ-ნნი: კარგარეთელი, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: ალექსი-მესხიშვილი, ჯუნია, გვარამე, ყივიძე, ზარდალიშვილი, მესხი, მდივანი, მატარაძე, ფალავანდიშვილი, მამფორია, ციციშვილი, ფალიკაშვილი.

დასაწყისი ხალამოს 8 საათზე. ადგილების ფასები ჩვეულებრივია.

ადგილის ტ. ქართ. დრამ. თეატრ.-ში. რეჟისორი გ. ხ. ალექსი-მესხიშვილი.

შემდეგი ბენეფისი ეკ. ალექსი-მესხიშვილისა, 2 თებერვალს წარმოდგენილი იქნება „მეფე ივანე IV მრისხანე“. (3—1027—1)

ავჭალის სახალხო აუდიტორია

შაბათს, 29 იანვარს, 1911 წელს.

ბატონ ივანეს ასულ ლენინაძის კარგადგენილების ჭლის თაგზე, მის ხსოვნის პატივსაცემლად, ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით ავჭალის სახალხო თეატრის ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი იქნება:

„მეზობლები“

დრამა 4 მოქ. ტრ. რამიშვილისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: ე. ჩერქეზიშვილი, თ. გოგოლაშვილი, ეკ. მესხიშვილი, ნაკაშიძე და ს. ჩერქეზიშვილი. ბ-ნნი: ვ. ანანიაშვილი, ა. ალექსიძე, მ. ინამიშვილი, ა. ნარი, ხ. ბ. ბანიოვი, ი. რომანიშვილი, ბ. ჯაბაური, და სხ.

ანტრეპრენიორი თ. ლოლიძე. რეჟისორი გ. ვ. ბედევანოვი.

მორიგი წევრნი ხოფ. მგალობლიშვილი, ვ. რაქვიაშვილი.

დასაწყისი სადამის 7½ ს.

წარმოდგენის ფინად თ. ალექსიშვილი ნაიკითხავს მ. დემურიას ბიოგრაფიას და ადგილობრივ ბის ეფაწლის სახალხო წარმოდგენების შესახებ. (2—ფ.—1)

გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შეიძინ შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი“, „სინათლე“, „ზაკავკაზსკია რეჩი“, „ჰორიზონტი“, „სურანდაკი“, „ცხოვრება და ხელოვნება“, „საღამური“, „ხათაბალა“, ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ჭიათურასა, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა, სამტრედიისა, ყვირილისა, გორისა და ბაქოსთვის.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

ტფილისის არტისტიულ საზოგადოების თეატრში

ოთხშაბათს, 3 თებერვალს, 1911 წ.,

ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების

სამუსიკო სკოლის სასარგებლოდ

წარმოდგენილი იქნება

„ე ი ზ ნ“

პოეტ. ბენეკოსი.

მონაწილეობას მიიღებენ ვ. ი. ნიკულინის დასის საუკეთესო მსახიობნი. ბილეთები იყიდება. საღამოს გამგე კნ. ბ. ბ. ბაგრატიონი. (1—1029—1)

მიიღება ხელის მოწერა

არჩილ ჯორჯაძის ნაწერებზე:

„ერთვნულ პრობლემის გარშემო“.

ამ წიგნში შეიტანა უკანასკნელ წლებში სხვა და სხვა გაზეთებში დასტამბული პუბლიცისტიური წერილები, წინასიტყვაობით. წიგნი დაახლოებით იქნება 250 გვერდი და ამ თავითვე ხელის-მომწერთათვის ეღირება ორი აბაზი (40 კ.). გასასყიდად გამოსვლისას ფასი მომატებული იქნება.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში: „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში. ქუთაისში: მთავარი შვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში. თელავში: ვანო პაატაშვილთან.

დანარჩენ ადგილებიდან ხელის-მომწერლებმა ფოსტის ხარჯად 10 კაპ. უნდა გამოგზავნონ. (5—1)

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

ბ. ვაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს., ცბილის ავადმყოფ.

ზ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. ბ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. მოსეფი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ალერ-ნაკოლოფოსი ფ. ბ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½ 12½ საათ.

ე. ბ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგან ნი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით (ფ.—5.—545)

ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება

მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლამბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გელეგანიშვილი ფ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

ბურკო ბ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

ბალალაშვილი ბ. ბ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ხ. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშ.ბ. 9—10 ს.

ბენვენუტოვი ვ. ბ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ხ.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. ბ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

ბაბოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

ხობოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. ბ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეიძლებოდა. საფასურით. (200—ნ.—382)

ექიმი ე. ვ. ვაშაკიძე

იღებს მინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოს 3—7 ს. გოგოლიხა და ბატონიშვილის ქუჩის კუთხე N 24. (ნ—905)

ექიმი რ. დ. მაჩავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაგიოვის ქუჩა N 7. (ფ.—180—76)

ექიმი ჯ. ფ. ა. ი. ძ. ძ.

ძ. ქუთაისში

ოყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვების და მინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიეარაძისა. (თ.—188—72

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირაობით მხოლოდ საღამოს 6—7 საათამდე დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით.

ვაზა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—ნ.—86)

ექიმი ძ. ძ. ქუთაისში

თ. ტყეშელაშვილი

იღებს მინაგან და სპეციალურად ვენერიულ, სპერდ და სასქესო ორგანოებათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ვირალოვის ხაზი, (50—15—15

ექიმი კ. ბ. ბ. ბ

ეჭვს გარეშეა ასეთ ზომების მიღება განსაკუთრებით დღევანდელ დღეს ყოველ გონიერებას მოკლებულია ამ დღეებში პეტერბურგის უნივერსიტეტში მოწოდება დიურიგეს, თავი შეიკავოთ და არეულობას ნუ მოვახდენთ. გუშინ კი იქავე უწესოების მოხდენა სცადეს.

ან ეს მღელვარება სტიქიურია, შემთხვევით, ჩაშოუყალიბებელი, ან მის დასახასიათებლად... ცნობილი საბედისწერო სიტყვა უნდა ვიხმაროთ..

როდესაც სტუდენტობა გაჭანტ-გამოჭფანტეს და ერთი მთლიანი შემადგენლობა დაჭესაქსეს, ყოველ მცირე ჯგუფსაც შეუძლიან უწესოების და მღელვარების შეტანა სტუდენტთა წრეში, თუ მათ ზნეობრივი ძალა არ გადაეღობა წინ. მაგრამ სად ვეძიოთ ეს ზნეობრივი გავლენა, როდესაც ერთის კალმის მოსმით გაჭკვეთეს სტუდენტობის მთლიანობა და პროფესორები ვეღარც კი ასწრობენ, პოლიციას აცნობონ, უნივერსიტეტში არეულობა დაიწყო"

ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲓ.

28 იანვარი.

თეირანი. 26 იანვარს რეგენტი ჩამოვიდა.

ნიუ-იორკი. რუსეთ-ჩინეთის ბანკის განყოფილების ხაზინადარი უაიდერი ფულის გაფლანგისათვის 9 წლით ციხეში ჩასვეს.

ვაშინგტონი. პრეზიდენტმა ინგლისთან ხელშეკრულობის პროექტი სენატში წარადგინა. ამ ხელშეკრულობით იკრძალება ზღვის მელაზე (კატა) ნადირობა. ამ გადაწყვეტილებას რუსეთი და იაპონიაც მიემხრობიანო,—დასძინა ტაფტმა.

ურმია. ოსმალო რაზმების უფროსებად ხოეში, ურმიაში და სოუჯბულაკში ახალგაზდა ოსმალოების პარტიის მომხრენი დაინიშნენ.

ლონდონი. გუშინ მებადურთა კრება მოჰხდა, რომელზედაც დაადგინეს პროტესტი განაცხადონ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში შეტანილ კანონ-პროექტის თაობაზე, რომლითაც თეთრი ზღვის სანაპიროთა 12 მილის სივრცეზე უცხოელთა თევზაობა ეკრძალებათ. კრებამ გარეშე საქმეთა სტატს-სეკრეტარს მიჰმართა და ინგლისის ინტერესთა გამოსარჩლება სთხოვა.

ვაშინგტონი. გონდურასის ნაპრეზიდენტალმა და ახალმა პრეზიდენტმა ზავი დასდეს.

პარიზი. „ტან"-ს სტამბოლიდან ატყობინებენ, საფრანგეთს და ოსმალეთს ურთიერთშორის მოლაპარაკება აქვთ ფრანგს კაპიტალისტებს ნება დართონ, რათა პრინტინიდან ადრიატის ზღვამდე, კარაფერეიდან—ბალონამდე, სივასიდან—არზუმებამდე, ტრაპეზუნდიდან—არზუმებამდე რკინის გზა გაიყვანონ. სულ წინანდელი კონცესიებით—4000 მანძილზე, რომელიც გერმანელთა კონცესიას უდრის.

ბერლინი. რეიხსტაგის კომისიამ, ცენტრის წინადადებით 16 ხმის უმრავლესობით, 4 წინააღმდეგ დაადგინა, ელზას-ლორენი გერმანიის იმპერიის თავისუფალ მოკავშირე სახელმწიფოდ გამოაცხადონ და საკავშირო საბჭოში წარმომადგენელი.

ათინა. ვენიზელოსმა პალატაში, კონსტიტუციისა და პალატის უფლება-მოსილობის გადასაშინჯად კანონ-პროექტი შეიტანა.

სტრასბურგი. ელზას-ლორენის უმაღლეს სამართველოს 52 დეპუტატმა, რომელნიც უმრავლესობას შეადგენენ, წინადადება შეიტანეს, სადაც ჯერ არს, ელზას-ლორენი გერმანიის იმპერიის სრულ-უფლებიან მოკავშირე სახელმწიფოდ იცნონ.

ლონდონი. სტატს-სეკრეტარმა მაკკინნონ-კულმა განაცხადა: ინგლისს-გერმანიის დამოკიდებულებაზე აზრთა გაცვლა-გამოცვლა კვლავ სწარმოებსო. ბრიტანეთის მთავრობას იმედი აქვს, ეს ორთავე სახელმწიფოს შორის მეგობრულ განწყობილებას განამტკიცებსო. საბუთების გამოქვეყნება კი საერთო ინტერესებს ავნებსო.

სოფია. კონსტიტუციის წესდების შესაცვლელად მთავრობამ საერო კრების მოსაწვევად წინადადება შეიტანა.

ჰააგა. ქვედა პალატის კომისიის უმრავლესობამ, რომელიც ლიბერალების მოწინააღმდეგეთაგან შედგებოდა, სანაპიროს გამაგრება საჭიროდ სცნო. ლიბერალთა უმრავლესობა კი ფლისსინგენის გამაგრებას საჭიროდ არა სცნობს.

სერაევო. სერბიელმა დეპუტატებმა განაცხადეს, ხარჯთ-აღრიცხვას არ დავამტკიცებთ და ოპოზიციას მივემხრობით, რადგანაც მთავრობამ წარსულ ზაფხულს სეიმისაგან მიღებული მრავალი დადგენილება არ აღასრულა და მთავრობა შეეცადა სერბთა საწინააღმდეგო უმრავლესობა შეედგინაო.

ზაგრები. სეიმი. სეირბელ-ხორვატთა კავშირის ბელადმა სუპილომ განაცხადა, ხორვატის რკინის გზებზე უნგრული ენა იმ გაზრახვით იყო შემოღებული, რომ უნგრელთა და ხორვატთა შორის შუღლი ჩამოეგდოთო. 1907 წელს საზოგადოების აზრის ხორვარტთა წინააღმდეგ ასამხედრებლად ვეკერლეს დასჭირდა ხორვატებისათვის ღალატი შეეწამებინა. და რა საკვირველია, თუ ამის შემდეგ ხორვატის რკინის გზებზე უნგრული ენა გაეგბატონებინათ.

ᲣᲐᲛᲘ

პარიზი. პარლამენტის ჰიგიენის კომისიის თავმჯდომარემ ლაშო და ექიმი დეპუტატი, მესლიე ფიქროგენ პასტერის ბაქტერიოლოგიურ ინსტიტუტის წევრთა თანხლებით ქამთან საბრძოლველად მანჯურიაში გაემგზავრონ.

ტოკიო. ქალ. დალნიდან იაპონიის კონსული იტყობინება, მიღებულ ზომათა წყალობით ქამი მოისპო.

ხმები დადის, კორელეების შორის იჩიჯოუში ქამმა თავი იჩინაო.

ხარბინი. დღე-ღამეში 33 ჩინელი და ერთი ევროპიელი გარდაიცვალა.

პეტერბურგი სიზრანში მომავალ გადასახლებულთა მატარებელში ფერშალმა ქალმა ქამით ავადმყოფი შეჭნიშნა, და პენზენის გუბერნატორს აცნობა. ავადმყოფი და 124 მისი თანამგზავრი მუშა მესამოშვებლად ექიმებს გადასცეს.

რუსეთი

პეტერბურგი. ფინანსიურ და სამოქალაქო საქმეების კომისიების შეერთებულ სხდომაზე შინაგან საქმეთა მინისტრის შესწორებული კანონ-პროექტი პეტერბურგის არხის თაობაზე უარ-ჰყო. ამ შესწორებით, თუ ქალაქის თვითმმართველობა დანიშნულ ვადისთვის ვერ მოასწრებს ამ საქმის მოგვარებას, მაშინ თვით მთავრობა გაიყვანდა.

ოდესა. ნოვოროსიის უნივერსიტეტის ერთ ჯგუფს სტუდენტებს სწამებდნენ, სტუდენტთა ბალზე, 5 დეკემბერს, დამსწრე საზოგადოების მოწმეთვის განძრახვას. სასამართლომ საქმე მოსპო, რადგანაც გამოძიებამ საკმაო საბუთები ვერ აღმოაჩინა,

ლიუბლინი. კრასნოსტავის და რეინოვიცების შორის 15 შეიარაღებული ბოროტ-გამძრახველი ფოსტას დაეცა. ფოსტის მცველმა ერთი მოჰკლა და ერთიც დასჭრა. ფოსტა გადაარჩინეს.

პეტერბურგი. სახალხო განათლების კომისიამ 26 ხმით, 13 წინააღმდეგ ნაციონალისტთა შესწორება სამრევლო სკოლების დამოუკიდებლობის თაობაზე მიიღო.

ᲛᲘᲬᲘᲡ ᲫᲕᲠᲐ

ვირნი. სარობაგიშვილის სათემოს ეპიცენტრის მახლობლად ალექსანდროვის ქედის გასწვრივ 50 ვერსის სიგრძით, 4 საჟენის სიგანით და უთანაბრო სიღმით ნაპრალი გაჩნდა. მიწიხ-ძვრის დროს 250 მკვიდრი დაიღუპა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘ

✦ სენატმა დაამტკიცა ტფ. საერთო სამართლო **პალატის განაჩენი**, რომლითაც „სახალხო გაზეთი"-ს რედაქტორად ნამყოფს ქ-ნს დ. ხრამელაშვილს 50 მან. ჯარიმა ჰქონდა გადაწყვეტილი. სენატში ეს საქმე ბრალმდებელმა განასაჩივრა.

✦ სპარსეთის ფინანსთა მინისტრის **სანიუდ-დოულის მკვლელნი** ყვავიძე და დერბერიშვილი რუსის საელჩოს გადასცეს, გარეშე საქმეთა სამინისტროში საელჩოს წარმომადგენელის თანადასწრებით მკვლელობის საქმეს იძიებენ.

✦ 28 იანვარს, საღამოს, საპოლიციო უბნის ზედამხედველმა ქანანოვმა სირაჯხანის (აღმართზე ვიდაც უცნობი შეჭნიშნა, რომელიც **საეჭვო კაცად** ეჩვენა. ზედამხედველის დაძახებაზე უცნობი არ გაჩერდა, ამიტომ უცნობს რევოლვერი ესროლა. უცნობმაც რევოლვერით უპასუხა და პოლიციის ზედამხედველი ფეხში დასჭრა. ამ დაჭრილმა პოლიციელმა უცნობს ამის შემდეგ კიდევ ექვსჯერ ესროლა რევოლვერი და უცნობი სასიკვდილოდ დასჭრა. დაჭრილი უცნობი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. მისი ვინაობა გამოურკვეველია.

✦ 1 თებერვალს ტფ. ქალაქის საბჭოს სასწავლებელთა გამგე **კომისიის** კრება მოჰხდება **19 თებერვლის** დღესასწაულის პროგრამის შესამუშავებლად.

✦ **სტიპენდიები** განთავისუფლდნენ: ტფ. ქალთა მეორე გიმნაზიაში დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობისა, ხოლო ქალთა მეხუთე გიმნაზიაში შამხაროვის სახელობისა.

✦ ტფილისში ლონდონიდან ჩამოვიდა თავ. ნ. ს. ჩოლოყაშვილი, რომელიც ქალაქის თვითმმართველობის წინაშე შუამდგომლობს, რომ მიეცეს **საგაზო ქარხნის** კონცესია.

✦ 7 თებერვალს ტფ. ოლქის სასამართლო გაარჩევს **საქმეს ექიმ ტურიაშვილისას**, რომელსაც სილნაღში მონაზონის გაუპატიურება ბრალდება.

✦ 8 დღეს ტფ. საჯარო ბიბლიოთეკის სადგომში **მოსკოვის არქეოლოგიურ საზოგადოების** კავკასიის განყოფილების წევრთა საერთო კრება მოჰხდება.

✦ 27 იანვარს, კავკასიის სასოფლო **სამეურნეო საზოგადოების** საბჭოს წევრებს მორიგი კრება ჰქონდათ. კრებამ მოისმინა მდივნის მოხსენება, რომელიც შეეხებოდა კავკასიაში საძოვარ ბალახის დათესვას. საბჭომ ეს მოხსენება არ მოიწონა და მომხსენელს დაავალა, შემდეგს კრებაზე ვრცელი მოხსენება წარმოადგინოს. განხილულ იქმნა აგრეთვე მოხსენება ცხოველთა მომშენებელ ბიუროსი შადინოვის მამულში მერძეობის სკოლის დაარსების თაობაზე. საბჭომ დაადგინა, ამ საგნის საბოლოოდ გამოსარკვევად დანიშნოს საგანგებო კრება, რომელზედაც მოწვეულ უნდა იქმნას, როგორც ცხოველთა მომშენებელ ბიუროს წევრნი, ისე თვით ბ ნი შადინოვი.

✦ კვირას, 23 იანვარს. ავლაბრის კლუბის დარბაზში, შესდგა საზოგადო კრება ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველის წრისა. წესდების განხილვის შემდეგ ფარულ კენჭის ყრით არჩეულ იქმნენ გამგეობის წევრებად: თ. ზ. ნასიძე, ს. ილ. ფოროქაშვილი, გ. ფ. ნათაშვილი, იასონ ის. სულთანიშვილი და ლადო ს. დარჩია. მათ კანდიდატებად: ოლიმპიადა მიქელაძისა და ივ. მარკოზოვი. სარევიზიო კომისიის წევრებად: ივ. იმედაშვილი. რ ჯიბლაძე და ყ. მეხუზლა; კანდიდატებად: შაქრო ნავთლოღელი და შ. მიქელაძე. კრებამ ერთხმად მადლობა გადაუხადა თავმჯდომარეს პ-ნ სვიმონიძეს და კლუბის გამგეობას—დარბაზის უფასოდ დათმობისათვის, რომლის შემდეგ კრება დახურულ იქმნა.

✦ 27 იანვარს ტფილისის გამგეობამ შეამოწმა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა მეორე, მესამე და მეოთხე საპოლიციო უბნების **ამომრჩეველთა** სია.

✦ დღეს, 29 იანვარს, ტფ. **საზოგადო კლუბის** წევრთა საერთო კრება გაიმართება. კრება, სხვათა შორის საზოგადოების წარსულის წლის მოქმედების ანგარიშსა და მომდინარე წლის ხარჯთ აღრიცხვას განიხილავს.

✦ **კავკასიის ქალთა საზოგადოებამ** ქალაქის გამგეობას სთხოვა, უფასოდ დაუთმოს მას შენობა მუშა ქალთა კლუბისთვის, რომლის წესდება უკვე დამტკიცებულია.

შეცდომის გასწორება გუშინწინდელ „სახალხო გაზეთში" მოთავსებულ წერილში: "შეტნიერი ქალი" შეცდომითა დაბეჭდილი სიტყვა „რადიტეური", უნდა იყოს: „რადიტიური".

ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ

— 24 იანვარს **ქალაქის საბჭოს სხდომაზე** დადგენილ იქმნა: ა) ეპატიოს ხიდების მოიჯარადრეს პატარიძეს საიჯარო გადასახადიდან 500 მანეთი. ასეთი პატიება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ დიდი თოვლის გამო სოფლები ქალაქს სრულიად მოწყვეტილია და ხიდების შემოსავალი შესამჩნევად დაკლებულია; ბ) შეტანილ იქმნეს სასწავლებელში ქალაქის საშუალებიდან განსაზღვნებულის სამსონ ციოფურიას ნაშვილევის სწავლის ფული ერთი წლის ხუთი თუმანი, გარდა ამისა, საგარაუდო შემოსავალ გასავლის განხილვის დროს აღძრულ იქმნეს საკითხი, რომ ყმაწვილს დაენიშნოს ქალაქის საშუალებიდან ყოველთვიური დახმარება; გ) მოემატოს არსებულ ხორცის ნიხრს გირვანქაზე ორი კაპეიკი, ე. ი. უნდა დაწესდეს: უცხო ჯიშის საქონლის პირველ ხარისხის გირვანქა ხორცზე 14 კაპ., მეორე ხარისხზე—13 კაპ., ძუძუმწოვარ ხბოს ხორცზე—15 კაპ., მოზრდილი ხბოსა და ცხვრის ხორცზე—14 კაპ., ღორის ხორცზე—12 კაპ. კასრის ხორცზე—10 კაპ. და გირვანქა სუკზე—21 კაპ.; დ) საკითხი საკათედრო ტაძრის გარშემო ქვის გალავნის გაკეთების შესახებ გადაიდოს იმ დრომდე, სანამ ამ საკითხის შესახებ; ქალაქის მოურავი პირადად არ მიელაპარაკება ყოველად სამ-

---

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ

„ᲮᲘᲛᲐᲮᲘᲜᲯᲔ", დრამა 4 მოქმედებად ბ. შიუკაშვილისა, ქუთაისის დრამატიულის დასის მიერ წარმოდგენილი.

ჩვენის აზრით „სიმახინჯე" ბ. შიუკაშვილისა დიდად საინტერესო ნაწარმოებია, მეტად ღრმად მოფიქრებულ და ხელოვნურადაც შესრულებული. ავტორი გამსჭვალულია ადამიანის ცხოვრების საბედისწერო ტრაგიზმით და მთელს ნაწარმოებში ეს შეგნებული უბედურება ადამიანის ცხოვრებისა წითელის ხაზით არის გატარებული. „სიმახინჯე" გვიჩვენებს, რომ არის სიმახინჯე სულიერი და არის სიმახინჯე ფიზიკური, მათ შორის საზღვარის გაყვანა თითქმის მოუხერხებელია და შეუძლებელი, სულიერი სიმახინჯე ბუნებრივ ნაკლულევანებაზედ, ბუნების გადაგვარებასა და დასახიჩრებაზედ არის აღმოცენებული, ხოლო ბუნებრივი სიმახინჯე კიდევ სულიერის სიდუხჭირის ღვიძლი მამაა და მშობელი, მისი შემქმნელი. თქვენ ხედავთ, ერთის მხრით ადამიანებს გარეგნად თითქმის მშვენიერებს, მაგრამ თქვენ მარტო ზედაპირსა ჰხედავთ. ხოლო თუ ანატომიურად, ფიზიოლოგიურად გაარჩევთ ნახავთ, რომ ზოგი ერთ ბრწყინვალე გარეგნობაში გადაგვარების ნიშნებია, რომელიც გამოიხატება ენერგიის მოდუნებაში, ნების სისუსტეში, ხორცის დაჩლუნგებაში, სქელებრივის ინსტინქტების დაძაბუნებაში. ეს ბადავს მთელს კატასტროფას სულიერ სამეფოში და ამ კატასტროფის მსხვერპლი გახდება მთელი წყება ერთი ეროვნულ დაკავშირებულ ადამიანთა. მეორეს მხრით, თქვენ ხედავთ სიმახინჯეს გარეგანს, რომელიც ზიზღს იწვევს ყოველივე ადამიანში. ეს ზიზღი შეუმჩნეველი არა რჩება მის გამომწვეველ მახინჯს და იგი გაბოროტდება, შურისძიების სურვილით აღივსება მთელი მისი არსება და ცდილობს ჯავრი ამოიყაროს მთელს კაცობრიობაზედ. მაგრამ გარეგანი, ასე ვსთქვათ, დეკორატიული სიმახინჯე, ფარავს ფიზიოლოგიურ ძალას საშინელს და ენერგიის სიმტკიცეს უცნაურს, ინსტინქტთა ამობოქრებული ზღვაა ეს სიმახინჯე და ძალა, იგი სიმტკიცე, იგი შეუდრეკელი ნება გახვეულის ისეთის საზიზღარსა და გულის ამრევ სამოსელში, რომ თავისთავად საოცარგებლო და კეთილის მყოფელი ძალა, თავზარ დამცემ, ჯოჯოხეთურ მიმართულებას ადგება. ამგვარად მოწყობილნი არსებანი შეეტაკებიან ერთმანეთს, აქ შეიქმნება ნამდვილის ტრაგიზმით აღსავსე ბრძოლა, რომელიც ორივე მოპირდაპირე მხარეს მოსპობს და შთანთქავს.

აი მთელი ჩონჩხი ბ. შიუკაშვილის დრამისა, რომელზედაც ჩამოსხმული ხელოვნური ნაწარმოები, აღმძვრელნი ბრალვალის ფიქრისა, გამომსახველი ჩვენის ცხოვრების ზოგიერთის საინტერესო მოვლენისა.

სულიერის სიმახინჯის წარმომადგენელნი ბრძანდებიან: კანცელიარიის მოხელის თომა ძრელაძის ოჯახობა—ქალიშვილი, კურსისტკა-სონა და ვაჟიშვილი, საზღვარ-გარედ მოსწავლე შაქრო. ფიზიკურის სიმახინჯის გამომსახველნი არიან საბა დოლაბერიძე მდიდარი და კუზიანი კაცი და მისი და დარეჯანი 40 წლის გასათხოვარი ქალი.

სონა და შაქრო ახალგაზდანი არიან, ოც-ოცის წლისა, მშვენიერის გარეგნოვნისა და მომხიბლავის შესახედაობისა, მაგრამ, რა, გრძნობა მათი დამახინჯებულია, გონება დასუსტებული: მათ ძარღვში მოწამლული სისხლი მიმდინარეობს; მათ არ შეუძლიათ აღასრულონ სულ უბრალო და მარტივი როლი ბიოლოგიურის არსებისა. ოცის წლის ყრმათ, ქალ-ვაჟს, სიცოცხლისა და ცხოვრების მოციქულებს, ავიი უაღრესის, თვით უძლიერესის სიყვარულის გრძნობის განცდაც კი არ შეუძლიათ, ვინაიდან იგინი ფიზიოლოგიურად გადაგვარებულნი არიან. ერთის კალმის მოსმით, დიდად მოხდენილად ავტორი ჩვენ დაგვანახვებს, რამდენად ძლიერისა და ღრმა სენით, გადაგვარების სენით არის შეპყრობილი ტურფა, სონა, როცა სონა სახლში ბრუნდება, მას დახვდება ფიზიკურად და სულიერად საღი, სიცოცხლისა და ცხოვრების შეხარულებით აღსავსე მეგობარი ქალი მარო. დორიოდე შეკითხვით გამოაფენს სონას უსიცოცხლობასა:

მარო. ვასოს რომ უყვარხარ. ეს ცხადია მაგრამ... შენ კი გიყვარს?

სონა. რა საკითხია?

მარო. მე დიდი ეჭვი მაქვს... სონა, არა სცდები?

სონა (წყნარად, რწმენით). არა, ჩემო მარო! ვასო მე მთელის ჩემის არსებით მიყვარს.

მარო (ჩაფიქრებული). არ ვიცი... არ ვიცი... ვერაფერი ვერ გამიგია.

სონა. რა ვერ გაგიგია?

მარო. რაზედ გეტყობა?

სონა (ღიმილით). ხომ არ ვიხტუნებ?

მარო. რატომ? რატომ ვერ იხტუნებ? კარგი, ხტუნაობას თავი დავანებოთ. აბა თვალები მაჩვენე (ჩასცქერის), სად არის სიდიდეხდის იმედი, იმედის, ბედნიერების ნაპერწკალი? რატომ არ გეშმნენეს ის კაშკურკეველი, ჯერ უცნობი მომავალი ნეტარების თრთოლვა?! სად არის, სად?

სონა (იცინის). ადბად ბუნება მაქვს ასეთი!

მარო (სერიოზულად). სტყუი, სტყუი? შენ გინდა სიყვარულიც დასნეულდეს, (ხაზი ეველგან ჩვენია).

ამ ორიოდე სტრიქონით სონა მთლად ერთიანად თვალ-წინ გვიდგას, მთელის მისის ფიზიკურისა, ფიზიოლოგიურისა და ფსიხოლოგიურის ავლა-დიდებით. იგი განიცდის სიცოცხლის ვაზაფხულში, წარმტაც, გონებისა და გრძნობის მომჯადოვებელ დიდებულ გრძნობას, მაგრამ მაგრამ... არა, კი არ განიცდის, მას თეორეტიულად სავალდებულოდ მიაჩნია ეს მოვალეობა აღასრულოს—მისი ბუნება კი ამას ეურჩება, მის თაყვლებში სიცოცხლე ჩამქრალია, ნის ბუნებაში ნეტარების თრთოლვის ოჯახს, მის მეგობრებს მახლობლებს, მაგრამ სონამ შეუდრეკელი ხასიათის სიმტკიცე გამოიჩინა ასეთ გულის ამრევ საქმეში. სონას ფსიხიკა მშვენივრად გაუგია სიყვარულით გაბრძენებულს დედა მისის გულს. სონამ თავის დაღრჩობას არჩია საუკუნო ტანჯვა; უცებ სიკვდილით ვერ იყრიდა ჯავრს თავის უბედურებაზედ და მეტს წამებას ვერ მოიგონებდა თავისთავისთვის, ვიდრე საბას წაყოლას" „სონას, თავში" ილიკოსი არ იყოს, „მხოლოდ ორიოდე „ახალი აზრი" ტრიალებს" ის კი ვეღარ მოუფიქრებია, რომ ცხოვრება მშრალ-მშრალ თეორიებს კი არ ემორჩილება, მას თავისი ულმობელი, უცვლელი კანონები აქვს, რომელთა გადალახვა დამღუპველია ადამიანისა, თუ კი შესძლო ამ კანონების გადათელა. წიგნებში განსწავლულმა, წიგნებით თავბრუ დასხმულმა ქალმა დაივიწყა კანონი ბუნებისა, ხორცისა და ეგონა ბუნება ადამიანმა შეიძლება თავისს ჯიბრზედ წაიყვანოს და ბიოლოგიური და ფიზიოლოგიური წესები დაარღვიოს თავისის კაპრიზების მიხედვით. პირველსავე შემთხვევაში იგრძნო და მიხვდა რა პოროტმოქმედება, რა სისულელე ჩაიდინა. როგორც კი დარჩება საბასთან ერთად და ქმარი მოინდომებს თავისის უფლებების განხორციელებას, სონა თავს იკლავს იმ რევოლვერით, რომელიც მისმა ყოფილმა საქმრო ვასომ თავისის დასაცველადა და მტრის (მახინჯ საბას) მოსაგერებლად დაუტოვა.

ლვდელოს იმერეთის ეპისკოპოსს ე) ქალაქის მოურავისა და გამგეობის ერთი წევრის არჩევნები გადაიდო 7 თებერვლისათვის. როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, ა. ს. საყვარელიძესა და ს. ნ. ლორთქიფანიძეს, რომელთაც ასახელებდნენ ქალაქის მოურავის ადგილზედ, უარი განუცხადებიათ ყუთის დადგმაზე. დანარჩენ კანდიდატთაგან, როგორცა სჩანს, ყველაზე მეტი მომხრე ჰყავს ხმოსანთაგან ახლანდელ ქალაქის მოურავს დ. ა. ლორთქიფანიძეს, რომელმაც ამას წინად უარი განაცხადა კენჭის ყრაზე. ჰფიქრობენ, ქალაქის მოურავის ჯამაგირი 4,000 მანეთამდე ასწიონ და სთხოვონ ბან ლორთქიფანიძეს, ისევ დარჩეს ქალაქის მოურავად. გამგეობის წევრად ასახელებენ ისევ ი. ს. ფანცხავას, რომელიც მთავრობამ ქალაქის მოურავად არ დაამტკიცა. ასახელებენ აგრეთვე ქუთაისის ქართულისა და მთავრობის გიმნაზიის ფრანგული ენის მასწავლებელს ჰ. ი. ყიფიანს და დ. ბ. მდივანს, რომელიც დიდხანს იყო ქალაქის სამსჯოს მდივნად და კარგადაა გაცნობილი ქალაქის საქმეებს. უკანასკნელთ მხოლოდ იმ შემთხვევისათვის ასახელებენ თუ ბ-ნმა ფანცხავამ რაიმე მიზეზით ყუთი არ დაიდგა.

◆ **23, 24 და 25** იანვარს **ქუთაისში თოვლი** თითქმის ერთს ადლამდე კიდევ ავიდა: ასე რომ 25 იანვარს თოვლის სიმაღლე ერთ საჟენამდე იყო. 26 იანვარს შესამჩნევად დათბა და თოვლიმა დნობა იწყო; ღამით ცოტა წვიმაც წამოვიდა, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა. თუ თოვლი ერთბამად დადნა, ქალაქს დიდი საფრთხე მოელის წყალდიდობისაგან. ქუჩები თოვლის მთებს წარმოადგენს, ასე რომ—როდესაც ზედ მიდიხართ, ერთსართულიანი სახლების სახურავებს ზევიდან დასცქერით; მასთან სულ ოღრო-ჩოღროებითაა სავსე და ბევრგან მარხილებით მიმოსვლა სრულიად შეუძლებელია. ქალაქის გამგეობამ ქუთაისის გუბერნატორის მოადგილეს სთხოვა განკარგულება მოეხდინა, რომ ჯარის კაცები დაეხმარებინათ ქალაქისათვის ქუჩების შესასწორებლად. ბ-ნმა ვიცე-გუბერნატორმა ამ საკითხის განხილვა ტფილისიდან გუბერნატორის ჩამოსვლამდი გადასდო.

◆ 26 იანვარს **მოხდა ქალაქის სამჭოს საგანგებო კრება**. ამ კრების მიზანი ის იყო, რომ გამოენახათ რამე ღონისძიება ქუთაისში შეშის გაყიდვის საქმის მოსაწყობად. ამ ჟამად ქუთაისში შეშის საშინელი სიძვირეა: თითო კუბიკური საჟენი ადგილზევე იყიდება ხუთ თუმნად. ქალაქს გამგეობას შეუკრებია ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი საჟენი შეშაა ამ ჟამად ქალაქში გასასყიდელი. როგორც ამ ცნობებიდან სჩანს, მთელს ქალაქში ყოფილა 25 ნახ. საჟენი შეშა! ქალაქის სამჭომ, ხანგრძლივი კამათის შემდეგ, მიანდო გამგეობას სთხოვოს რკინის გზის სამმართველოს, დაუთმოს ვაგონები ქალაქში შეშის შემოსატანად; ამავე დროს წინადადება მისცეს შეშის გამყიდველებს, რომ უშოვნის ყაგონებს, თუ ისინი შეშას ნორმალურს ფასებში გაჰყიდიან, ე. ი. კუბიკურ საჟენს 30—35 მანეთად. თუ ვინიცობაა, შეშის გამყიდველები ამაზედ არ დასთანხმდნენ, იმ შემთხვევაში თვით გამგეობამ შეიძინოს გასაყიდი შეშა.

შეუკრებიათ აგრეთვე ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ფუთი პურის ფქვილია ამ ჟამად ქუთაისში. ამ მხრივ ქალაქს ჯერ-ჯერობით შიმშილი არ მოელის—მთელს ქალაქში 34,000 ფუთი პურის ფქვილი ყოფილა. უნდა ვიანგარიშოთ, რომ 15,000—16,000 ფუთი სიმინდის ფქვილი და ღომიც იქმნება ქალაქში. ნავთი კი ყოფილა ქალაქში (მთავარ საწყობებში) 2,000 ფუთი; 800—400 ფუთი უთუოდ დუქნებშიაც ექნებათ გასასყიდათა, ასე რომ—ქალაქს ორი კვირის გაძნავლობაში ნავთის მხრივაც არაფერი უჭირს.

◆ კნ. სოფიო მიქელაძისამ, წრეულსაც ვადასცა ქართული გიმნაზიის ადმინისტრაციას ათი თუმანი, იმ **მოსწავლეთა დასახმარებლად**, რომელთაც სიღარიბის გამო არ შეუძლიათ სწავლის ფულის გადახდა.

◆ 6 თებერვალს მოეხდება **სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების წლიური კრება** მორიგი საქმეების განხილვის გარდა, ასარჩევია გამგეობის ხუთი წევრი, რომელთაც სამსახურის ვადა გათავდათ.

◆ **ქალაქის თავის არჩევა** დანიშნული იყო 24 ამ თვის, მაგრამ ხმოსნებმა საჭიროდ სცნეს დაუცადონ იმ ცნობებს, რომელთაც მოელის ბ-ნი ფანცხავა ტფილისიდან. მას ნამესტნიკისათვის წარუდგენია მოხსენება და ამ მოხსენების პასუხს ელოდებიან. ამის მოლოდინში სხვა და სხვა ჯგუფები ხმოსნებისა თავ-თავის კანდიდატებს ასახელებენ. თუ აქამდის კალისტრატე ჩიკვაიძეს კანდიდატად ასახელებდნენ, ეხლა დაჟინებით შეუდგნენ აგიტაციას, რომლის მოთავეობა, რამდენადაც ჩვენ ვიცით, იტვირთა თ-მა დავით ნიკარაძემ.

◆ უამინდობის გამო წერა-კითხვის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების საშუალების გასაძლიერებლად გაზრახული საალიტერატურო დამუსიკალური საღამო გადაიდო 6 თებერვლისათვის. ამ საღამოში მონაწილეობა აღუთქვეს შემდეგ პირთ: ქ-მა ნ. ჩხეიძემ, ბ-ნმა ნანობაშვილმა, ოსიკო ბარბათაშვილმა, დ. კლდიაშვილმა, შანშიაშვილიმ და სხ. გარდა ამისა საღამო დამთავრდება ცოცხალი სურათით და ნაციონალური და ევროპიული ცეკვით.

◆ 26 იანვარს გუბერნატორის მოწოდებით დანიშნულია ქალაქის სამჭოს კრება, რომელმაც უნდა გამოძებნოს საშუალებანი მცხოვრებთ თვის აუცილებელ საჭირო საგნების (შეშა და საწოვაგე) მოსაპოვებლად.

დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

პეტერბურგი. დღეს უნივერსიტეტის სტუდენტებისა ერთი ნაწილი ტექნოლოგიურ ინსტიტუტისა და უმაღლეს ქალთა კურსებისა გაიფიცნენ.

მოსკოვი. რამდენიმე ასმა სტუდენტებმა კრება მოახდინა და დაადგინა, სწავლა-მეცადინეობა შეაწყვიტონ და კრებაზე დამსწრეთა სიმცირის გამო, ეს დადგენილება ყველასათვის ჯერ-ჯერობით სავალდებულო არაა. რექტორმა, ნებადართველ კრების გამართვისათვის, სტუდენტობა გააფრთხილა უნივერსიტეტში პოლიცია ჩააყენეს.

პოლიციამ „გოლოს სტუდენჩესტვა“-ს რედაქცია გაჩხრიკა, რედაქტორი დაატუსაღა და იქ მყოფი 50 სტუდენტების გვარი ჩაიწერა.

შ ტ რ ა ს ბ ი ნ ი

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

გამუდმებით სთოვს, ბევრგან ბავები ჩამოწვა. ამიტომ მატარებლების მიმოსვლა ყოვლად შეუძლებელი გახდა. ჰიათურის რკინის გზა ზედაც მიმოსვლა შეწყვეტილია.

ქ უ თ ა ი ს ი

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

მატარებლების წესიერად მიმოსვლის აღსადგენად რკინის გზის ლიანდაგზე დიდი მუშაობაა. საქმეს ის აჭირვებს, რომ დიდი თოვლის გამო, დამხმარე ორთქლმავლების დროზე ვერ აშველებენ იქ, სადაც საჭიროა. რკინის გზის უმთავრეს შტოზე ორთქლმავალი ლიანდაგიდან გადავიდა. სამგზავრო მატარებლები სადგურ რიონსა, სამტრედიასა, ყვირილასა და შორაპანში დგანან. როგორც სადგურ დარაკვეთიდან გვატყობინებენ, მგზავრები ამ სადგურზე 24 იანვრიდანა სდგანან და, რადგანაც არსაიდან სურსათი არ მიდის, დიდ ჭირვეულობას განიცდიან.

ქ უ თ ა ი ს ი

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

განუწყვეტლივ სთოვს. 25 იანვრის წინა ღამეს დიდი თოვლი მოვიდა და 15 გოჯი დასდო. საჭიროა ენერგიულ ზომების მიღება. ქალაქი მთლად მოწყვეტილია გუბერნიას. ყველაფერი დაძვირდა.

ქურნალისტის დღიური

3.

დროს მოიტანა...

რუსულმა კაპეიკიანმა გაზეთებმა გვაცნობეს, ტფილისში „თავისუფალ სიყვარულის ლიგა“ აღმოჩენილა. ხალხში კი ათასი ჭორი და ურთიერთმანეთზე საშინელი ხმები დადის. ჩვენ არ ვიცით, რაოდენი სიმართლეა ამ ხმებში, არ ვიცით, რა სახისა და ძლიერებისა იყო ლიგა. ადვილად შესაძლებელია, რომ ის აურზაური, რომელიც ასტყდა ქალაქში, სრულიადაც არ შეეფერება სინამდვილეს, ამას ახლო მომავალი გვიჩვენებს, როდესაც გამოძიება თავის მიზანს მიაღწევს და პრესასაც ხელში უტყუარი საბუთი ექნებოდა. მაგრამ რაც უნდა იყოს, ჭორსა და ხმებსაც რაიმე საფუძველი უნდა ჰქონდეს. თუ „ლიგა“ რაღაც გულ შემზარავ გარყვნილების ორგანიზაცია არ არის, ამის მსგავსი რამ მაინც უნდა არსებობდეს, თორე ასე დაბეჯითებით ხმები არ გავრცელდებოდა. მაგრამ ეს ცოტაც სრულიად საკმარისია, რომ საზოგადოებრივი აზრი შეაშფოთოს. ზნეობის ოფიციალური დამცველნი კიჟინას დასცემენ, როგორც, მაგალითად „გოლოს კავკაზა“ იქცევა, ერთხელ კიდევ ისარგებლებენ შემთხვევით, რომ მოსწავლე ახალგაზდობას თავისი ბოლმა ნაღველი გადაანთხიონ და ტალახში ამოსვარონ. მოსწავლე ახალგაზდობას სწავლისთვის თავი დაუნებებია და გარყვნილებას ეძლევა. ვსთქვათ, ეს სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ ვინ არის ამაში დამნაშავე? როგორ მოხდა, რომ ახალგაზდა კაცი ან ქალი, სათუთ გრძნობებისა და უმწიკვლო იდეალების მტარებელი ახალგაზდობა თავ-დაუჭერელ—გარყვნილების მორევში სცურავს? დამნაშავენი უმთავრესად ისინი არიან, ვინც მათს გონებრივსა და ზნეობრივს მოთხოვნილებათა თავისუფალ განვითარებას გზა შეუკრა. რა დანაშაულობა მიუძღვის ახალგაზდას, რომლისთვისაც სასწავლებელი რალაც სატანჯველ დაწესებულად გადაქცეულა? ახალგაზდობა სასწავლებლებში სულიერს საზრდოს ვერა ხედავს, მას გარშემო ახვევია გადაუვალი კედლები ფორმალიზმისა, რომელიც ახრჩობს მის ინდივიდუალობას, ასახიჩრებს მის სათუთ გრძნობებს, უწამლავს ახალგაზდურს გატაცებასა და აღმაფრენას. ამისთანა პირობებში რალა დარჩენია ახალგაზრდობას იმის მეტი, რომ სასწავლებლის გარეთ მოძებნოს საზრდო თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად?

მაგრამ გარედ რაღასა ხედავს? საზოგადოებრივს საქმეებისადმი სრულს გულ-გრილობას. ულმობელმა რეაქციამ ჩაჰკლა ყოველივე ცოცხალი აზრი, საზოგადოებაში სრულმა ინდიფერენტიზმმა დაისადგურა. ეგრედწოდებული სანინიზმი ნაყოფია ამ საზოგადოებრივ ინდიფერენტიზმისა. ძლიერმა სულიერმა განცდამ თავის უმაღლეს წერტილს შიაღწია, იქ რეაქციის გადაუვალ კედლებს მიეჯახა და მეორე უკიდურესობაში ჩავარდა. სანინიზმი, გატაცება ხორციელ სიამოვნებით საზოგადოებრივ აპატიის, დაღლილობის ფორმულაა. მოსწავლე ახალგაზდობაში დაბადებული აზროვნებაც ამ საერთო მიზეზების ნამონაკლია. საზოგადოებრივმა დაღლილობამ ახალგაზდებზედაც იმოქმედა და ის, რაც ხშირად ხდებოდა რუსეთის სხვა ქალაქებში და რამაც დღეს ტფილისშიც იჩინა თავი, მხოლოდ საერთო ინდიფერენტიზმისა და აპატიის შედეგად უნდა ჩაითვალოს... დროს მოიტანა და დროც წაიღებს.

შინაური.

ბაფრთხილება

(ეროვნულიბიბლიოთეკა)

კახეთის რკინის გზის გაყვანის საკითხთან ერთად დაიბადა აზრი ადგილობრივ არტელების მოწყობისა, რომლის მიზანს შეადგენს მუშათა ხელის შეწყობა სამუშაოთა აღებაში პირდაპირ საქმის მიმცემთაგან და არა მოიჯარადრეთა საშუალებით.

რამდენადაც მიზანი სიმპატიურია, იმდენად ძნელია მისი განხორციელება, რადგან მოითხოვს დაკვირვებას, რთულს ორგანიზაციას, საქმის ცოდნასა და ნივთიერ საშუალებათა მოპოვებას.

9 იანვრის ნებადართულ კრებაზე, ტფილისის სას. მეურნ. ბანკის დარბაზში, წამოყენებული იყო ეს საკითხი, მაგრამ კრებამ გადაწყვეტილი აზრი ვერ გამოიტანა, კომისიამ აირჩია, რომელსაც მიანდო საკითხის ყოველმხრივ გაცნობა და სათანადო ორგანიზაციის წესდების შემუშავები. როგორც კომისიის წევრი იძულებულად ვსთვლი ჩემს თავს გამოვაცხადო, რომ კომისიას არ დაუსრულებია მუშაობა და ამიტომ ჯერ-ჯერობით არაფერი საარტელო ორგანიზაციის ტფილისში არ არსებობს. ამის და მიუხედავად, როგორც „სახალხო გაზეთის“ 217 № ის მოამბე გადმოგვცემს, საადგილ-მამულო კომისიის ყურამდე მიუღწევია ცნობას, რომ ქვემო ქართლში დაიარებიან სხვა და სხვა პირნი და სოფლის ხალხს იწვევენ არტელებში ჩასაწერად, თან ხუთ-ხუთ მანეთსაც ახდევინებენ. ეს მეტად სამწუხარო მოვლენაა, საზოგადო საქმის ძირის გამომთხრელი, რომელსაც სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

სხვა საქმეა სოფლად ცნობების შეკრება იმაზე, თუ რამდენი მუშა ხელი გამოვა ამა თუ იმ სოფლიდან ვის რამდენი სამუშაო საქონელი ჰყავს ან ვის რამდენად შეუძლიან ფულით დახმარება არტელის შედგენაში, როგორც ეს მოახდინა ზემოხსენებული კომისიის ერთმა წევრთაგანმა, როცა მას მოუხდა შემთხვევით სოფ. მეტეხში ყოფნა. ამ გვარი ცნობანი მომავალ საარტელო ორგანიზაციისათვის მეტად საჭიროა.

რაც შეეხება მოსალოდნელ სამუშაოში გაზვიადებულ ქირის დაპირებას და ამ თავითვე ფულების მოკრებას ეს კანონითაც აკრძალულია, ამიტომ ვიწვევთ საზოგადოების შეგნებულ ნაწილს ყოველ გვარ ამგვარის საერთო დამარცხებით თავდება ამ „მახინჯთა“ ცხოვრება და ცხოვრებისათვის ბრძოლა. მახინჯი ს

საშუალებით წინააღმდეგობა გაუწიონ იმათ, ვინც ხალხის გაბრიყვებას და თავიანთ ნაძირალ სურვილების განხორციელებას მოიწადინებს. **ეგნატე ხრამელაშვილი.**

პ. მესხის იუბილე

გორში

23 იანვარს აქ კ. მესხის იუბილე გადახდეს. დღესასწაულმა ეგვლახზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ბიჭეთები რამოდენიმე დღით წინად მთდად ებეიდეული იყო და შეგირდებისთვის კოლეგები არსად არ დარჩენილა. ეს ძალიან იწუინეს შეგირდებმა და საუკეთესო გამოეცხადეს საუბიდეო კომიტეტს. კომიტეტმა გადასწყვიტა შაბათს, დღესასწაულის წინა დამით მხოლოდ შეგირდებისთვის გამართა იუბილე წარმოდგენა. შეგირდები ადტაცებითა და ტაშის ცემით შეეგებნენ იუბილარს.

წარმოდგენამდე მართლა მშვენიერად ჩაიარა. იუბილარი ხომ მშვენიერი იყო, მაგრამ ჩვენი სცენის მოყვარეენიც ვედარ ვიცანით, ისე მწუხარედ თამაშობდნენ

კვირის, საუბიდეო წარმოდგენის შემდეგ, ფარდა აიხადა და ეკვიდებით და ხადებით მორთულ სცენაზე მწკრივად იდგნენ ქალი და კაცნი მომდეკრადნი, საკუთარებიდ მ დღისთვის შემდგარი გუნდი პატ. ი. დოტბარიბით. კარეშეშო გუნდისა იდგნენ სხვა და სხვა დეშუტატები-.. აიწია ფარდა თუ არა შეიქმნა კაშის ძახილი დ კოტე მესხი გამოიყვანეს ქალ. ბ კეზედისამ და მოხუცმა არტისტმა ზ. მაჩაბელმ. ბირველად ქალაქის თავმა მიეფიტა, მერე სიტყვა უთხრა ბ-ნმა ედიოზიშვილმა კარეულ ქართველების სახელით, ქ-ნმა კეზედისამ იუბილარს კორელი მანიდიდოსნების სახელით სიტყვით მიმართა. შემდეგ სასადხო უნივერსიტეტის კომეტობის წევრმა ბ. ჯაფარიძემ უთხრა სიტყვა და სხვა. გუნდმა იმღერა რამდენიმე ქართული სიმღერა და „მრავალ ჯამიერი“ უგვიდაზე მეტი ადტაცება ჩვენი ბოეტ რახიკშვილის მისადგმამ დეკმა გამოიწვია. ბოდოს კ. მესხმა მოხდენილის სიტყვით მადგობა გადუხადა საზოგადოებას.

წარმოდგენის შემდეგ იქვე კლუბში გაიმართა ბ. ნაკ. დომაურის თავმჯდომარეობით ბანკეტი, რომელზედაც 75 კაცზე მეტი დასწრენ. ბანკეტზე მშვენიერი სიტყვა წარმოსთქვა ნ. დომაურმა. ა—გი

მოწყალი ამბები

ქუთაისი. ენით აუწერელი ამბები ხდება დასავლეთ საქართველოში. ეს ოცი დღეა თოვდი მოდის, ამასთანავე დიდი ეინვებიცა. ბევრგან სახლების სახურავები ჩაინგრა. გზები შეიკრა; წისქვილები გაიყინა; ხადხი დაიმშა და საშინელ გაჭირვებაში ჩავარდა. ვისაც შეშა აქვს, სოფლად, სიმინდს ჭაარმავს და სჭამს, მაგრა! საუბედურად ბევრი უშეშოდ დარჩა რადგან მოუდიდნელად დადგა ასეთი საშინელი ამინდი.

ასეთ უსაზღვრო გაჭირვებაში ჩავარდნილ ერთ მიდიან ხალხს პატრონი არა ჰყავს, უფრო უარეს მდგომარეობაშია ქუთაისი, ეს საგუბერნიო ქალაქი, თავის 55000 მცხოვრებით, ნამდვილ უპატრონობას განიცდის. მოისმო შარისა და ხარცის ნიხრი, ეასვებს და მეზურეებს დუდგან დღესასწაულ! რაც სურთ იმას გვაჭმევენ და რაც სურთ იმას გვართმევენ. ბოჭკა ყაადი 3 და 4 აბაზია, ისიც ეახეკარი ბოჭკის მეტი არ მოაქვთ. დიდ შეკეწრებაშია დარიბი ხალხი; სიმინდი ადარ შემოაქვთ ხოჯდებიდან და არც იმოგვება. ამ საერთო გაჭირვებაში ყველაზე მეტად ხარობენ შეშის საწყობთა პატრონები: 2 3 თუმნიანი ს